ხობის მოამბე

№9 (7169)
29 ივლისი,
შაბათი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების მკურნალობა სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს, სახელმწიფო დაფინანსებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა, საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება.

პროექტის წლიური ბიუჯეტი, დაახლოებით, 30 მილიონი ლარია.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

მათ შორის: განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების (ს.კ 45.21.25.152) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც ახალდაფუძნებულ ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის „სპორტის ცენტრს“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ (უზუფრუქტის ფორმით) არსებობის ვადით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყოფილი კინოთეატრ „თუთარჩელას“ შენობა-ნაგებობა.

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, საკრებულოს წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გილოცავთ, მრავალჟამიერ!

კვირიკობის ბრწყინვალე დღესასწაულს მივულოცავ ჩემს ქვეყანას, უფალმა წმინდანი დედა-შვილის, კვირიკესა და ივლიტას ღვთიური მადლი მოუნებოს თითოეულ ოჯახს, შვილებისა და სიწმინდის, ჯანმრთელობისა და სიყვარულის მეოხად!

ეს დღე განსაკუთრებულია ჩვენი სოფლისთვის, ის პირველი და მეორე გურიფულის გულსაკიდი ჯვარია, რწმენის მამტკიცებელი.

გილოცავთ, ძვირფასებო, ჩვენი ტაძრის შინამოს უსასრულობიდან- მარადისობის უძლეველობით!

მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!

ნანა გეგასალია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში

წყალდიდობა სოფლებში

მიმდინარე წლის 10-11 ივლისის წყალდიდობის შედეგად, ხობის მუნიციპალიტეტის 9 ადმინისტრაციულ ერთეულში დაზარალდა 137 ოჯახი.

ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში–27, ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში–4, გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში–15, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში–15, ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში–21, პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში–6,

პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში–30, შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში–14, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში–4, ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში–1 ოჯახი.

სტიქიის მიერ დაზიანებულია 14 ინფრასტრუქტურული ობიექტი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ღვინის ეროვნული სააგენტო ვენახების კადასტრის პროგრამას ახორციელებს.

საქართველოს ეროვნული კადასტრის შექმნა უზრუნველყოფს:

მევენახეობა - მეღვინეობის სექტორში არსებული ყველა ერთეულის შესახებ ინფორმაციის შეკრებას, რეგისტრაციას და შენახვას;

ვენახების ადგილმდებარეობის, მათი ფართობის, ჯიშური შემადგენლობის და სხვა ატრიბუტების შესახებ ზუსტი ინფორმაციის შეკრებას;

ყურძნის მოსავლისა და ღვინის პროდუქციის პროგნოზირებას;

სტატისტიკური ანგარიშების შემუშავებას მევენახეობის რეესტრში შეკრებილი ინფორმაციის საფუძველზე;

ვენახების კადასტრი იქმნება თითოეული ვენახის ნაკვეთის რეგისტრაციით და მოიცავს ვენახში არსებულ ვაზის ჯიშებს, დარგვის თარიღს, ვენახის მდგომარეობას და ა.შ.

ინფორმაციის შეკრება ხდება მევენახეების გამოკითხვით და აერო-ფოტოებზე გამოხატული ვენახის ნაკვეთების იდენტიფიკაციით.

ხობის მუნიციპალიტეტის პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში კომპანია „გოლდენ ფარმსმა" სახელმწიფოს მხარდაჭერით ლურჯი მოცვის ბაღი გააშენა და სამაცივრე მეურნეობა მოაწყო.

კომპანიამ „გოლდენ ფარმს" 16 ჰექტარზე მოცვის ბაღის გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისათვის პროგრამის „დანერგე მომავალი" ფარგლებში 250,000 ლარის თანადაფინანსება მიიღო, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში მიღებულმა აგროსესხმა 850 000 ლარი შეადგინა.

კომპანიამ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამაცივრე მეურნეობის მოსაწყობად 3,5 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა, მათ შორის სოფლის განვითარების სააგენტოს გრანტი 500,00 ლარია და 1,2 მლნ ლარი-შეღავათიანი აგროკრედიტი.

სამაცივრე მეურნეობას 250 ტონა ლურჯი მოცვის შენახვის შესაძლებლობა აქვს. კომპანიაში 10 ადგილობრივია დასაქმებული.

ქალთა ფონდ „სოხუმის" მიერ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში თემაზე „ძალადობის პრევენცია და ძალადობის მსხვერპლის დაცვა" (სოციალური თანამშრომლობა და რეფერირება).

შეხვედრას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მერის მოდგილე დავით ბერაია, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები.

მიმდინარე წელს ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ „მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის" ფარგლებში 1118 ბენეფიციარი დააფინანსა.

ექვსი თვის მონაცემებით პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს 505 540 ლარის დახმარება გაეწიათ.

პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და წლიური ბიუჯეტი 881950 ლარს შეადგენს.

ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

კეთილმოწყობილი გზა ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ, მერის პირველმა მოადგილე რევაზ ზაქარაიამ, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს გია ჩაბალუხასთან ერთად დაათვალიერეს.

ინფრასტრუქტურული პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 632 000 ლარს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი მერიამ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განახორციელა.

საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში, 2004 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ჯარისკაცის, კობა შუბითიძის სახელობის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა გაიმართა.

ტურნირში საგვიჩიოს და ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულების გუნდებთან ერთად, ხობის „ჭალე", ფოთის „ჭაბონამა", ქუთაისის მესამე ქვეითი ბრიგადის, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის, გვარდიის, ხონის მეორე საარტილერიო ბრიგადის, ქობულეთის და დასავლეთ სარდლობის ლოჯისტიკის სამსახურის გუნდები მონაწილეობდნენ.

მემორიალური პირველობის ფინალში ქუთაისის მესამე ქვეითი ბრიგადის გუნდმა ფოთის „ჭაბონამა" დაამარცხა და კობა შუბითიძის სახელობის თასს დაეუფლა.

სპორტულ ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მერის მოადგილე დავით ბერაია და საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტურნირი ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ორგანიზებით ჩატარდა.

სოფელი

ბაკურ ალანია–მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი შუა ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში

„სოფლის ხელმძღვანელობა დიდი პასუხისმგებლობაა“

ბატონო ბაკურ, მიმდინარე წელი განსაკუთრებულია შუა ქვალონში მცხოვრებთათვის. წელიწადზე მეტია ქვემო ქვალონს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოეყო შუა ქვალონი და თქვენ დაინიშნეთ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად.

–მართლაც, მიმდინარე წელი განსაკუთრებული იყო ჩვენი სოფლისთვის. წლების განმავლობაში მოსახლეობა ითხოვდა შუა ქვალონის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფას, რაც დაკმაყოფილებულიქნა გასული წლის იანვარში და უკვე წელიწადზე მეტია შუა ქვალონი არის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, გამოვხატავ მოსახლეობის სურვილს და ამის გამო დიდ მადლობას ვუხდი ადგილობრივ ხელისუფლებას.

გაეცანით მკითხველს, ვინ არის ბაკურ ალანია?

–დავიბადე 1988 წელს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონში, ტრადიციულ ოჯახში.

დედა: ლალი ადამია. პროფესიით ბუღალტერი, ამჟამად დიასახლისია. მამა: ელგუჯა ალანია მეურნეა და უძღვება ოჯახის საქმეებს.

მყავს მეუღლე თამარი კარტოზია, შვილები ცოტნე, რეზი და ანანო ალანიები.

2006 წელს დავამთავრე ჩვენი სოფლის საშუალო სკოლა. ჩავირიცხე საქართველოს დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „მეტეხში“ (2007-2011) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა კერძო კომპანიებში სხვადასხვა პოზიციებზე. ამჟამად როგორც იცით, ვარ მერის წარმომადგენელი შუა ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში.

რამდენი კომლია ადმინისტრაციულ ერთეულში, რა დაწესებულებები ფუნქციონირებს, რა სიახლეებია გათვალისწინებული სამომავლოდ?

–შუა ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის ორი სოფელი, გვიმარონი და ჭითაუშკური. ცხოვრობს 252 კომლი. მოსახლეობა შეადგენს 690 ადამიანს.

ბუნებრივია, სოფლის ხელმძღვანელობა დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. საქმე, რომელსაც ვემსახურები, მიყვარს და სიამოვნებით ვასრულებ ჩემს მოვალეობას. მიმაჩნია, რომ ადამიანი, რომელ პოზიციაზეც არ უნდა იყო, პირნათლად უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, სოფელს, უნდა იყო მოსახლეობის თანამდგომი ჭირსა თუ ლხინში.

ჩემი უშუალო მოვალეობაა ვიზრუნო ჩემს სოფელზე, სოფლის მაცხოვრებლებზე, რაც ერთის მხრივ დიდი პასუხისმგებლობაა, ხოლო მეორეს მხრივ სასიამოვნოა. ვცდილობ ჩემი მხრიდან ყველაფერი გავაკეთო სოფლის წინსვლისა და განვითარებისთვის.

ვხედავ გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს, რომელი კომპანია ასრულებს სამუშაოებს და როდისთვის არის გათვალისწინებული მისი ქსელში ჩართვა?

–დიახ, მოგეხსენებათ შუა ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელსაც ახორციელებს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების“ კომპანია.

უახლოეს მომავალში შუა ქვალონის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ბუნებრივი აირით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოფლის მაცხოვრებლების ყოფას. გაზიფიცირების სამუშაოები დაახლოებით ერთ თვეში დასრულდება, მოსახლეობას კი მომდევნო წლის დასაწყისიდან ექნება საშუალება ისარგებლონ ბუნებრივი აირით.

თქვენთვის რა არის პრიორიტეტი სოფლის წინსვლისთვის? მახსოვს სოფელში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი, კავშირგაბმულობის განყოფილება, რომელიმე მათგანის აღდგენა ხომ არ იგეგმება?

–სოფლის წინსვლისთვის, რა თქმა უნდა, საჭიროა მეტი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე სოფელს არ აქვს საბავშვო ბაღი, ამბულატორია და ადმინისტრაციული შენობაც კი.

ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, მოეწყობა აღნიშნული ინფრასტრუქტურა.

ამ ეტაპზე დაგეგმილია სოფლის ცენტრში მდებარე ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

ასევე „სოფლის მხადაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებულია სოფელში სანიაღვრე არხების ამოწმენდა, ხიდბოგირების მოწყობა და სოფლის შიდა გზების მოხრეშვა.

ჩემი დიდი სურვილია, რა თქმა, უნდა, ბევრი კარგი და სოფლისთვის მნიშვნელოვანი საქმის კეთება. შუა ქვალონში ინფრასტრუქტურული პროექტები მომავალშიც გაგრძელდება, რაც აუცილებელია სოფლის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

როგორც ვიცი, წელს სკოლის რემონტი იგეგმება, როდის დაიწყება იგი და სწავლის პროცესი ხომ არ შეფერხდება?

–გეტყვით, რომ მიმდინარე წელს დაიწყება სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამჟამად სკოლაში ირიცხება 70 მდე მოსწავლე. სოფელს ექნება თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილი სკოლა, რაც ძალიან სასიხარულოა სოფლის მოსწავლეებისა და თითოეული მაცხოვრებლისთვის.

აღნიშნული სამუშაოები არ შეაფერხებს სასწავლო პროცესს, ჩვენი მოსწავლეები დროებით სწავლას განაგრძობენ ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის ყოფილ შენობაში.

ნატვრა, რომელიც დღემდე ვერ აიხდინეთ?

–ვნატრობ, რომ ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ ერთიან, სიყვარულით და პატივისცემით სავსე ქვეყანაში. ამ ყველაფერს თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი კეთილსინდისიერი შრომით, შვილების სწორი აღზრდით და ტრადიციების დაცვით უნდა ჩავუყაროთ საფუძველი.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

ჩვენს მუნიციპალიტეტში



ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

დამშრობ მასივზე ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან იწმინდება სხვადასხვა კატეგორიის კოლექტორული და შემკრები არხები.

სამუშაოების დასრულების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე არხების გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, ხოლო აგროწარმოების შესაძლებლობა გაიზრდება.

სამელიორაციო სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაცია“ აწარმოებს.



ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მშენებლობა დასრულდა.

პროექტის შესაბამისად დამონტაჟდა განათების სისტემა, დაიგო ხელოვნური საფარი და მოეწყო სკამები.

ახალი სტადიონი ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე რევაზ ზაქარაიამ და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა გია ჩაბალუხამ დაათვალიერეს.

ინფრასტრუქტურული პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 108 000 ლარამდეა.

პროექტი მოსახლეობის ინიციატივით და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მერიამ განახორციელა.

სოფელი

„სოფელს პრობლემებს რა გამოულევს...“

ყულევი, წარსულში „რედუტკალე“, ისტორიული სოფელი გახლავთ. დღეს კი ყულევი ცნობილია საქართველოში (და არა მარტო), აქ მდებარეობს ყულევის ნავთობტერმინალი, სადაც ხობის მუნიციპალიტეტში, უფრო მეტად კი ყულევში მცხოვრებლები მუშაობენ.

ამ პატარა სოფელს დიდი წვლილი შეაქვს ხობის მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში.

სოფელს უკვე რამდენიმე წელია ხელმძღვანელობს ჩვენი სტუმარი, ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში ბატონი ბუთხუზ ხორავა.

პატარა მიმოხილვა სოფელზე.

–ყულევი ზღვისპირა სოფელია. რომელიც მეჩხერად იყო დასახლებული, ახალი დასახლება კი მჭიდროა. სოფელში 115 კომლი (332 მოსახლე) და სამი აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი ცხოვრობს. ხალხი თუმც ზომიერად გასულ წელს სოფელში გაიხსნა თევზის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც დასაქმებულია 11 ადგილობრივი. ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თევზის გადამამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელობას ყულევის საჯარო სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში შეტანილი წვლილისთვის. ისინი ყოველთვის მზად არიან სოფელს შესაძლებლობის ფარგლებში სოფელს არ გააჩნია საბავშვო ბაღის შენობა, ამიტომ ბავშვების ტრანსპორტირება ხორციელდება მეზობელი სოფლის, ქარიატის საბავშვო ბაღში. დაფინანსებას ახორციელებს ა(ა)იპი „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანება“ (დირექტორი ქალბატონი ეკა ხასია).

სოფელში არსებული კლუბის შენობაში ერთი ოთახი გამოყოფილია ამბულატორიისთვის. სოფელს ემპრეტენზიულები, მაგრამ მომთმენი და დამთმობებიც არიან.

პრობლემებზე გვესაუბრეთ.

–ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც მოსახლეობას წლების განმავლობაში აწუხებდა იყო წყალმომარაგების სისტემის არარსებობა, რომელიც საქართველოს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატის, ამჟამად პარლამენტის წევრის ბატონი ირაკლი ბერაიას უდიდესი ძალისხმევით, ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ისტორიის კუთვნილება გახდა. ამჟამად არა მარტო ყულევს, არამედ ქარიატასა და შუა ხორგას წყალი მიეწოდება 24 საათიანი გრაფიკით. მადლობა მათ ამ უდიდესი საქმისთვის.

მეორე პრობლემა, რომელიც მშვიდობის ქუჩის მოსახლეობას აწუხებდა, წლების განმავლობაში იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ დავით ბუკიას, ძალისხმევით მოგვარებულიქნა.

კერძოდ, ამ ქუჩაზე დაიგო ორი ფენა ასფალტის საფარი, მოეწყო ოჯახებში შესასვლელები, ამოიწმინდა სანიაღვრე არხები, მოსახლეობის სახელით მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

მოსახლეობის დასაქმებაზე რას გვეტყვით?

–დასაქმების კუთხით, სხვა სოფლებთან შედარებით, ჩვენ კარგი მდგომარეობა გვაქვს.

ძირითადად მოსახლეობა დასაქმებულია ყულევის ტერმინალში.

დღეის მდგომარეობით ყულევის ტერმინალში მუშაობს 41 ადამიანი (11 ქალი, 30 მამაკაცი).

გვერდით დაუდგნენ, ამიტომ კიდევ ერთხელ მადლობა მათ სოფლის მოსახლეობის სახელით.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ წელს რისი გაკეთება გადაწყვიტეთ?..

–ყოველწლიურად ცენტრალური ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, გამოყოფილი თანხა არც ისე დიდია, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ვცდილობთ მოვაგვაროთ ის პატარ-პატარა პრობლემები, რომლებიც სოფელში არსებობს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში აღნიშნული თანხები მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით მიმართულიქნა სოფელში არსებული სასაფლაოების შემოსაკავებლად. მიმდინარე წლის თანხა ისევ მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით მიმართულია სოფლის ცენტრში არსებული სკვერის კეთილმოწყობისთვის.

რა ხდება დღეს?

–სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (დირექტორი ხატია ოჩიგავა) I და II საფეხურით. მოსწავლეთა მცირე კონტიგენტით, მაგრამ სწავლისთვის სათანადო პირობებით, რაც სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა, მადლობა მათ ამისთვის.

სახურება კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სპეციალისტი ბიკახანუმ მამედოვა. ადგილობრივი მედდა მთვარისა მაჩიტიძე და კვირაში ერთხელ ექიმი მაია ხუციშვილი, მოსახლეობა მადლიერია მათი მომსახურებით. მათი დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

რა პრობლემები შეუქმნა სოფელს უამინდობამ და კოკისპირულმა წვიმებმა?

–სოფელში პრობლემებს რა გამოლევს. ბოლო დღეებში რეგიონის მასშტაბით და განსაკუთრებით ჩვენს მუნიციპალიტეტში მოსულმა ძლიერმა ნალექმა, როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში შეგვიქმნა მთელი რიგი პრობლემები.. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დავალებითა და მერიის შესაბამისი სამსახურების უშუალო ხელმძღვანელობით, განვსაზღვრეთ აუცილებლად ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი, რაც უნდა შესრულდეს, რათა შემდგომში ნაკლებად მძიმე შედეგები მივიღოთ.

მადლობა ინტერვიუსთვის.

ნანი კილასონია

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვით/აზომვით სამუშაოებს აწარმოებს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022-2024 წლებში აზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში დაარეგისტრირებს მიწის ნაკვეთებს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია უფასოა.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, წინასწარ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში, საკუთარი ინიციატივით, სისტემური წესით აზომავს მიწის ნაკვეთებს, მოიძიებს შესაბამის დოკუმენტაციასა და დაარეგისტრირებს საკუთრებას.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, საჯარო რეესტრი საკუთარი ინიციატივით წარმართავს რეგისტრაციის მთლიან პროცესს და მოქალაქეებს სრულიად უფასოდ გაუწევს შემდეგ მომსახურებას:

მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები;

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;

გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;

სანოტარო მედიაცია;

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;

ფაქტების კონსტატაცია;

მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა;

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების და მასში ცვლილების რეგისტრაცია. მიწის სისტემური რეგისტრაცია მოიცავს ეტაპებს:

მიწის ნაკვეთების აზომვა;

დოკუმენტების მოძიება;

საჯარო გამოცხადება;

მონაცემების გადამოწმება;

რეგისტრაცია.

ფსიქოლოგი გვირჩევს

სკოლა–ახალი ეტაპი ბავშვის ცხოვრებაში

მინდა მკითხველს ვესაუბრო ბაღიდან სკოლაში სასკოლო მზაობის მქონე მოსწავლეთა, უმტკივნეულო ტრანზიციაზე. (შესვლა-გადასვლა).

ივნისის ბოლოს საბავშვო ბაღებმაც დაასრულეს სასწავლო წელი და დაიწყეს მზადება ახალი ჯგუფების რეგისტრაციისთვის, ასევე სკოლებმა დაიწყეს მზადება პირველკლასელთა მიღებისთვის, მინდა აქვე ხაზი გავუსვა ბაღის უმნიშვნელოვანეს როლს, ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარების, ჯანსაღად ჩამოყალიბებაში.

ვფიქრობ ეს სტატია დროული იქნება მშობლებთათვისაც. სკოლაში თუ ბაღში ბავშვის გაშვება მშობლისთვისაც დიდ შფოთვასთანაა დაკავშირებული, სტატიის მიზანია რამდენიმე შეკითხვას (რომელიც პირისპირაც დაუსვამთ ჩემთვის) გაეცეს პასუხი რჩევის სახით.

სასკოლო მზაობა ეს არის გარკვეული ფიზიკური, შემეცნებითი, ემოციური და ქცევითი უნარების მომწიფების პროცესი, რომელიც ეხმარება ბავშვს სასკოლო გარემოში სრულყოფილად ფუნქციონირებაში .

სასკოლო მზაობა საკმაოდ ფართო ცნებებს მოიცავს, როგორიცაა: ფიზიკური, კოგნიტური ანუ შემეცნებითი, ენისა და წიგნიერების, სოციალურ-ემოციური და თვით მოვლის უნარების განვითარება. ყოველ ბავშვს ყველა უნარი ინდივიდუალურად აქვს განვითარებული და ხდება ხოლმე სხვადასხვა უნარში გარკვეული სირთულეების წარმოქმნა, რასაც განსხვავებულ საჭიროებებამდე მივყავართ.

სკოლა კი ახალი ეტაპია ბავშვის ცხოვრებაში, რომელიც სავსეა ახალი გამოწვევებით, გამოცდილებებით და სოციალური ურთიერთობებით, ბავშვს უწევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სირთულეებთან გამკლავება, მოეთხოვება დაიცვას წესები, შეცვალოს რუტინა, დაამყაროს ახალი ურთიერთობები და გაამართლოს მოლოდინები, ეს კი არც ისე ადვილია.

ყველა ბავშვისთვის სასკოლო საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრანზიცია, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

სხვადასხვა კვლევების თანახმად სკოლის პოზიტიურად დაწყება მოსწავლისთვის მომავალი აკადემიური წარმატების და სოციალური წარმატების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, პროცესი დროული მხარდაჭერის გარეშე შესაძლოა ნეგატიურ გამოცდილებად იქცეს, როცა სწავლა სირთულეებთან ასოცირდება, შემდგომ სწავლის გაგრძელების სურვილი და ხარისხი დაბალია, რასაც მივყავართ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებამდე.

ამრიგად, ტრანზიციის მხარდამჭერი გეგმა ბავშვის ბედნიერ, შემართებულ და მოტივირებულ სასწავლო გარემოს უწყობს ხელს. შესაბამისად ეს არ ეხებათ მხოლოდ იმ ბავშვებს, ვისაც სწავლასთან და განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ, თუმცა ასმაგად მნიშვნელოვანია ბავშვებში ვისაც სოციალური სირთულეები, სხვადასხვა ტიპის სტრესორები გამოუვლიათ და უჭირთ გარემოს შეცვლა-ადაპტირება.

ხშირად შშმ ბავშვის მშობლებს აწუხებთ კითხვები:

მიიღებენ თუ არა მათ ბავშვს სკოლაში (საქართველოს რატიფიცირებული აქვს გაეროს 2006 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია“, რომლის საფუძველზე ყველა ადამიანს აქვს უფლება მიიღოს თანაბარი განათლება!.)

მათ შვილებს ექნება თუ არა შესაბამისი გარემო, ეყოლება თუ არა დამხმარე (ასისტენტი) და ა.შ.

ტრანზიციის გეგმა იძლევა საშუალებას სკოლას წინასწარ მივაწოდოთ ჩვენი შვილის შესაძლებლობების ერთგვარი დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა, დიაგნოზი, ყველა მისი სპეციფიკური საჭიროება, რაც სწავლებასა და ბავშვის საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას უკავშირდება და უწყობს ხელს.

თუ სკოლა წინასწარ მიიღებს ინფორმაციას ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ, სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყობს გარემოს, მოამზადებს ადამიანურ რესურსს და ა.შ, რაც მოსწავლეს ადაპტაციაში დაეხმარება.

მნიშვნელოვანია მშობელმა იზრუნოს ბავშვის წინასასკოლო უნარებზე. ხშირად გაასეირნოს ბავშვი სკოლის ტერიტორიაზე, გააცნოს მომავალი მასწავლებელი, თუ მშობელმა იცის ვინ იქნება ბავშვის თანაკლასელი, ხელი შეუწყოს მათ გაცნობასა და დამეგობრებაში, რაც წინასწარ პოზიტიურ განწყობას ჩამოაყალიბებს.

საინტერესოა ასევე აქტივობები, რომლებიც ბაღებმა და სკოლებმა შეიძლება ერთად განახორციელონ, მაგალითად: ექსკურსია, სკოლაში, საგაკვეთილო პროცესის დასწრება, აგრეთვე თავად პირველკლასელთა ვიზიტი ბაღში და მათი გამოცდილების გაზიარება, მასწავლებლობანას თამაში და სხვა... ანუ ტრანზიციის პროცესში მნიშვნელოვანია ბაღის, სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მოქმედება. ტრანზიციის პროცესი მინიმუმ ექვსი თვით ადრე იწყება, რომ ამომწურავი იყოს ბავშვის შესაძლებლობისა და საჭიროების შესახებ ინფორმაცია.

ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს საგანმანათლებლო პროცესიც, რათა თავიდან ავიცილოთ შფოთვა, კომპლექსები, საკუთარი თავისადმი იმედგაცრუება და ნეგატიური განწყობები.

შევაჯამოთ, ტრანზიციის გეგმის არსი და მნიშვნელობა, ანუ რაც შეიძლება ამომწურავ ინფორმაციას უნდა ფლობდეს მშობელი მისი შვილის ფიზიკური, ფსიქიკური თუ კოგნიტური უნარების შესახებ, რათა მაქსიმალურად უმტკივნეულო გახდეს, ბავშვის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე გადასვლა, და ასევე გაუადვილდეს სკოლას ბავშვისთვის მაქსიმუმის გაკეთება.

მომავალ პირველ კლასელებს და ყველა მოსწავლეს ვუსურვებ მშვიდ, საინტერესო და ნაყოფიერ შემეცნებით პროცესს, იმედია მშობლებს ცოტათი მაინც დაეხმარება ეს სტატია, რომ ახალ გამოწვევებს ადვილად გაუმკლავდნენ.

ანა კვაშილავა,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების-ბავშვის ფსიქოლოგი. ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „თოლისკურის“, ხობის ბავშვთა დღის ცენტრის „ჩვენი სახლის“ - ფსიქოლოგი.

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაცია დაიწყო

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში“ 2022-2023 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წელი დასრულდა.

30 ივნისს სკოლაში 297 აღსაზრდელი გავაცილეთ.

დაიწყო ზაფხულის არდადეგები, მაგრამ პარალელურად მიმდინარეობს ახალი სააღმზრდელო წლისთვის აღსაზრდელთა რეგისტრაცია. საბავშვო ბაღების ადმინისტრაცია უწყვეტ რეჟიმში მუშაობს და ელოდება ახალ შევსებას.

2023–2024 სასწავლო-სააღმზრდელო წლისათვის აღსაზრდელთა რეგისტრაციის პროცესი მიმდინარე წლის **3 ივლისს დაიწყო და 3 აგვისტომდე გაგრძელდება.**

საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის პროცესში პრიორიტეტი ენიჭებათ შემდეგი კატეგორიის აღსაზრდელებს:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებს;
2. მრავალშვილიანი ოჯახის შვილებს;
3. დედით ან მამით ობოლ ბავშვებს;
4. მარტოხელა ოჯახის შვილებს;
5. იმ ოჯახის შვილებს, რომელთა და-ძმა ჩარიცხულია იმავე ბაღში;
6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს.

წელს სიახლეა, რომელიც 2023 წლის 3 მაისს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესულმა ცვლილებამ განაპირობა და იძლევა საშუალებას, სასკოლო მზაობის ჯგუფებში ჩარიცხულ იქნან ის აღსაზრდელები, რომელთაც **2023 წლის 1 ნოემბრამდე უსრულდებათ 6 წელი.**

სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში, 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია 1000 ბავშვის მიღება.

<u>აღსაზრდელთა ჩარიცხვა განხორციელდება მიმდინარე წლის 25 აგვისტომდე და გაერთიანების დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მათი დაკომპლექტება შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში მოხდება.</u>

წელს საბავშვო ბაღებში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით გათვალისწინებული საბავშო ბაღების რეაბილიტაციის პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში **ხამისკურის, ნოჯიხევის 2** და **საჯიჯაოს** საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტირდება.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს და ეს იქნება ავტორიზაციის წარმატებით გავლის წინაპირობა.

კიდევ ერთი შინაარსიანი, წარმატებული სააღმზრდელო წელი მიითვალა სკოლამდელების ისტორიამ. წინ ბევრი გამოწვევაა. სექტემბერში ახალი იდეებით, შემართებით, იმედებით შევუდგებით ახალ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წელს.

ეკა ხასია,
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი

ლეპტოსპიროზი

მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად არის გაუარესებული ეპიდსიტუაცია ლეპტოსპიროზის კუთხით, ამიტომ ჯანდაცვის ცენტრის დაავადების თითოეული შემთხვევისას ვაწარმოებთ სრულყოფილ ეპიდემიოლოგიურ კვლევებს და ვაწვდით ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მისი პრევენციისა და თავიდან აცილებისთვის.

ლეპტოსპიროზი წარმოადგენს პოტენციურ სერიოზულ დაავადებას, რომელსაც იწვევს ლეპტოსპირას ბაქტერია.

ადამიანების უმეტესობა ინფიცირდება ბაქტერიით დაბინძურებულ მიწასთან ან წყალთან კონტაქტით ღია ჰაერზე ყოფნის დროს.

ლეპტოსპიროზი ჩნდება ბევრ შინაურ და გარეულ ცხოველში, ზოგიერთი ცხოველი წარმოადგენს გადამტანს და გამოყოფს ბაქტერიებს შარდით, ზოგიერთი ცხოველი ავადდება და კვდება. ადამიანები ინფიცირდებიან პირდაპირი გზით–დაინფიცირებული ცხოველებისგან ან არაპირდაპირი გზით–დაინფიცირებული ცხოველის შარდით დაბინძურებული მიწის ან წყლის მეშვეობით. დაინფიცირებული ადამიანების 90 პროცენტში სიმპტომები მსუბუქი ხასიათისაა, სხვა შემთხვევებში დაავადება აზიანებს ბევრ ორგანოს და იწვევს ადამიანის გარდაცვალებას, ამ ლეტარულ ფორმას ვაილის სინდრომი ეწოდება.

ლეპტოსპიროზი მიმდინარეობს ორი ფაზით.

პირველი ფაზა: ინფექციის გაჩენიდან 2-30 დღის შემდეგ მოულოდნელად იწყება ცხელება, თავის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, ზურგისა და წვივის უკანა ნაწილის კუნთების მწვავე ტკივილები და შემცივნება, თვალები ძალიან წითლდება მესამე ან მეოთხე დღეს. ზოგიერთ პაციენტს აქვს ხველა, ზოგჯერ სისხლიანი ნახველით და ტკივილით გულმკერდის არეში. ადამიანების უმეტესობა გამოჯანმრთელდება ერთი კვირის განმავლობაში.

მეორე იმუნური ფაზა: ზოგიერთ შემთხვევაში სიმპტომები მეორდება რამდენიმე დღის განმავლობაში. მათი ხელახლა გაჩენის მიზეზია იმუნური ანთება, რომელიც ვითარდება იმუნური სისტემის მიერ ორგანიზმიდან ბაქტერიის მოცილების პროცესში. ცხელება ბრუნდება და ვითარდება თავისა და ზურგის მფარავი ქსოვილების ანთება. ვითარდება მენინგიტი, რაც იწვევს კისრის კუნთების რიგიდობას და თავის ტკივილს. მეორე ფაზის დროს ვითარდება თვალისა და კანის ყვითლად შეფერვა, თირკმლების უკმარისობა და სისხლდენისკენ მიდრეკილება. ადამიანებს ეწყებათ ცხვირიდან სისხლდენა ან სისხლიანი ხველა ან სისხლდენა კანის, ფილტვისა და შედარებით იშვიათად საჭმლის მომნელებელი სისტემის ქსოვილებში, ვითარდება ანემია, შესაძლოა გულმა, ფილტვებმა და თირკმელებმა შეწყვიტონ მუშაობა.

დიაგნოზი აუცილებლად უნდა დადასტურდეს ლაბორატორიულად. ამ მიზნით ხდება სისხლის, შარდის, თავისა და ზურგის ტვინის სითხეების კვლევა ბაქტერიის არსებობაზე.

როდის ავადდება ადამიანი ლეპტოსპიროზით?

დაავადებული ცხოველის შარდთან, შარდით დაბინძურებულ წყალთან, ნიადაგთან, საკვებ პროდუქტებთან და ბიოლოგიურ სითხეებთან, ნერწყვის ჩათვლით, უშუალო კონტაქტის შედეგად. ლეპტოსპირა ადამიანის ორგანიზმში ლორწოვანი გარსის, თვალის, ცხვირის, პირის და დაზიანებული კანის, დაბინძურებული წყლის და საკვების პროდუქტების მიღებით იჭრება.

დაავადებსადმი მგრძნობიარეა ყველა ასაკი. ლეპტოსპიროზზე შეიძლება მივიტანოთ ეჭვი, თუ ადამიანს დაავადება დაეწყო ბანაობის, თევზაობის, ნადირობის დროს, ასევე ნიადაგთან და ცხოველებთან კონტაქტის შემდეგ. ლეპტოსპიროზი პროფესიული ხასიათის დაავადებაა და რისკის ჯგუფში შედიან: ფერმერები, სან-ტექნიკოსები, ვეტერინარები და ისინი, ვისაც ცხოველებთან შეხება აქვთ.

როგორ დავიცვათ თავი ამ საშიში ინფექციისაგან, როგორია პრევენციული ზომები?

უპირველესად, საჭიროა წყლისა და საკვები პროდუქტების დაცვა ბაქტერიებით დაბინძურებისგან, ნუ დალევთ წყალს ღია წყალსატევიდან, ასევე აუცილებელია ვეტერინალური ღონისძიებების გატარება შინაური ცხოველების მიმართ, უნდა ვიზრუნოთ ავადმყოფი ცხოველის იზოლაციასა და მკურნალობაზე. ვისაც დაავადებულ ცხოველთან კონტაქტი უწევს უნდა შეძლოს პირადი პროფილაქტიკა, ჩაიცვას სპეცტანსაცმელი და რეზინის ფეხსაცმელი, გაიკეთოს ხელთათმენები. ასევე აუცილებელია ნაკლები ფიზიკური კონტაქტი ცხოველებთან, ყოველი შეხების მერე ხელების დაბანა საპნით. თუ ამის საჭიროება არსებობს შესაძლებელია ანტიბიოტიკებით პროფილაქტიკაც.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის ა(აიპ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი.

28 ივლისი– C ჰეპატიტის საერთაშორისო დღე!

C ჰეპატიტი არის ღვიძლის ინფექცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის სერიოზული დაზიანება. C ჰეპატიტის ვირუსით (NCV) ინფექციები ჩვეულებრივ ასიმპტომურია და უმეტესობა იწვევს საშიშ დაავადებებს. ინფიცირებულთა დაახლოებით 30 პროცენტში ვირუსი სპონტანურად ელიმინირდება ინფიცირებიდან 6 თვის განმავლობაში, ყოველგვარი მკურნალობის გარეშე. დარჩენილ 70 პროცენტს უვითარდება ქრონიკული დაავადება. დაავადებულებში ციროზის განვითარების რისკი მერყეობს 15-30 პროცენტამდე 20 წლის განმავლობაში.

C ჰეპატიტს აქვს განვითარების სტადიები.

ინკუბაციური–(საშუალოდ 45 დღე) მწვავე ჰეპატიტი (ვირუსის ორგანიზმში მოხვედრიდან 6 თვემდე) და ქრონიკული C ჰეპატიტი (6 თვეზე მეტი) და ამის შემდგომ განვითარებული ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ღვიძლის კიბო (რომელსაც ზრდის (ღვიძლის ციროზი), ციროზის დროს შეცვლილია ღვიძლის ჯანმრთელი უჯრედები.

C ჰეპატიტის გადაცემა ხდება სისხლით, სისხლთან კონტაქტით.

ნივთების გაზიარება, როგორიცაა საპარსი, კბილის ჯაგრისი, ნემსის გაზიარებით, მშობიარობის დროს (ინფიცირებულმა დედამ შეიძლება გადასცეს ბავშვს), სქესობრივი კონტაქტით (თუ კონტაქტისას სისხლით სისხლთან კონტაქტი აღინიშნა), ტატუს ან პირსინგის გაკეთება არასტერილური აღჭურვილობით.

C ჰეპატიტით დაინფიცირება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

ძუძუთი კვება (თუ ძუძუსთავები არის დაზიანებული და აღენიშნება სისხლდენა), ხველა და ცემინება, ჩახუტება, ხელის მოკიდება, კოცნა, კოღოს ნაკბენი, ჭურჭლის გაზიარება, საჭმლის ან სასმელის გაზიარება.

სიმპტომები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს:

ცხელება, ხანგრძლივი დაღლილობა, სახსრების ტკივილი, მადის დაკარგვა, მუქი შარდი, სიყვითლე, ნაცრისფერი ან ფერმკრთალი განავალი.

ჩავიტაროთ C ჰეპატიტზე ტესტი?

უნდა ჩავიტაროთ მაშინ თუ:

ხართ ჯანდაცვის მუშაკი, რომელსაც შეხება ჰქონდა სისხლთან, გაქვთ აივ შიდსი, ხართ ორსულად, გაგიკეთებიათ პირსინგი ან ტატუ არასტერილურ გარემოში, 1992 წლამდე გადაისხით სისხლი ან გაიკეთეთ ორგანოს ტრანსპლანტაცია, მოგიწიათ ჰემოდიალიზის ჩატარება, ოდესმე იყავით ციხეში, თუ დედა ინფიცირებული იყო, დაბადებული ხართ 1945-1955 წლებში, გქონიათ სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, ხართ ბისექსუალი ან ჰომოსექსუალი მამაკაცი, გყავთ მრავალი პარტნიორი, გაქვთ ღვიძლის ტესტირების არადამაკმაყოფილებელი შედეგები.

პრევენცია:

უსაფრთხო და სათანადო სამედიცინო ინექციები. ბასრი ნივთების და ნარჩენების უსაფრთხო დამუშავება/განადგურება.

დონორების სისხლის ტესტირება, HCV–ზე და აივი ინფექციაზე ჯანდაცვის პერსონალის გადამზადება.

სქესობრივი კონტაქტის დროს სისხლთან კონტაქტის პრევენცია.

უსაფრთხო პირსინგი და ტატუირება,

უსაფრთხო სქესობრივი კონტაქტი,

ზიანის შემცირება უსაფრთხოების შემცველი სერვისების მიწოდება ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის.

მანანა (აზა) საჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგი

სულთათვის

15 ივლისს შენი უფალთან წარდგენის დღე იყო ლირა, ღირსეული, შენეული წარდგენის. დარწმუნებული ვარ, ეს დიდი და მთავარი გამოცდაც წარმატებით ჩაბარე...

ამ დღის აღსანიშნავ სუფრაზე დიდ სევდასთან ერთად, შენი იუმორის მოგონებების წყალობით მხიარულება სუფევდა და ეს იყო შენი დიდი გამარჯვება სიკვდილზე (სხვას ვერაფერს დავარქმევ).

ჩვენი კოლეგა, მეგობარი, საუკეთესო მოკალმე, ჟურნალისტი, შენი გაზრდილი ძმისშვილი ეკა ბასილაია გვმასპინძლობდა. ყოველი სიტყვა აქაც შენს ირგვლივ ტრიალებდა. გამოგიტყდები, შენი იუმორით ვიხალისეთ, მიუხედავად განშორების ტკივილისა.

ეკამ გაიხსენა სიცოცხლის ბოლომდე როგორ ერთგულობდი შენს პროფესიას, როგორ ელაციცებოდი სიტყვას, შენს ერთადერთ სიყვარულს–ქართულ სიტყვას...

ჩემი თხოვნა დამიგვირგვინა და შენი პუბლიკაცია 2001 წელს გაზეთ „სამეგრელოში“ დაბეჭდილი „მოვდივარ ფიქრთა მესაიდუმლე“ მაახლა ორშაბათს, ძალიან გამახარა (მადლობა მას).

ვინ იცის რამდენჯერ წავიკითხე, რომ ცოტათი მაინც შემემცირებინა, მაგრამ ვერ გაკადრე, ყველა სტრიქონიდან თითქოს შენ იცქირებოდი, წარსულს გვახსენებდი, იმ დროს, მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ასე რომ გვილამაზებს ცხოვრებას.

ვიდრე ცოცხლები ვართ, არასოდეს დაგიგიწყებთ, გვიყვარხარ, როგორც შენი ახლობელი ჟუნალისტი შუქრი მირცხულავა გეტყოდა „ჩხვინდ პაჭუა ჩქინი ჭაჭუ, სკან ყოროფა გურსი მაჭუ“.

არ ვიცი რატომ, მაგრამ გადავწყვიტე ჩვენგან წასული მეგობრების მოსაგონრადაც განმეორებით დავბეჭდო შენი სტატია, ნიშნად კოლეგების დიდი სიყვარულისა.

ვგონებ, ამით მკითხველს ერთხელ კიდევ არანაკლებ ვასიამოვნებთ.

ნახვამდის, შეხვედრამდე...

მერი ლაგვილავა

„მოვდივარ ფიქრთა მესაიდუმლედ“

ქალქის ცენტრში გამორჩეული, მაღალი არქიტექტურული გემოვნებით ნაგები უძელესი შენობა იწონებს თავს... ყველას ჯობნის უჩუმრად. ბევრის მომსწრე, მნახველი. აქ დიდი ენერგიით დამუხტული ადამიანები ფუსფუსებენ. ძლიერი სული ბობოქრობს.

...წარსულის მიმქრალ ლანდებს არ ველაციცები. არც არტისტული ჟესტებით ვცდილობ სათქმელის შელამაზებს. ჩემი ვიზუალური ხედვით წარსულს ვიგონებ. სიმბოლურად ამ ჩემთვის ლამაზი, ყინვაგამძლე შენობის ბინადარი გახლავართ. ამაში ჩემი ლამაზი მეგობარი ნანი კილასონია დამეხმარა...

მას შემდეგ ერთად მოვდივართ. ბევრი მოვიდა, ბევრი წავიდა... ჩვენი ცხოვრების რთული რელიეფი თითქოს უცვლის ექოს... და მაინც მოგონებაზე საღი, სასარგებლო არაფერია... სულ სხვაა წარსულის ხიბლი. წარსულის გამოძახილი. დადგენა ძნელია–რისი გამოძახილია ესა თუ ის ფიქრი, განცდა...

ახალი ათასწლეულის ხმა მიახლოვდება, მოგონებათა უძირო სკივრი ხმაურობს...

გავლილი წლები მწუხრისა და სიხარულისა, დადებითი თუ უარყოფითი ემოციები...

...და ასე, ყინვაგამძლე, თბილ კერად გვექცა. მარათონელივით მოვიჩქარი.

ახლის ძიებით მეშახტის შრომას უტოლდება ჩემი და ჩემი კოლეგების შრომა. კვირაში სამი გაზეთის გამოცემა!!!

ადვილია სათქმელად, საქმე ნახეთ...

ხასიათი, განწყობა, რამდენი მოგზაურობა. ფეხდაფეხ, გულდაგულ სიარული, გაფრთხილება, მიკითხვ-მოკითხვა (ვინ მოთვლის მერამდენედ!) დამღლელიცაა, სახალისოც, საჭიროა სიფრთხილე, სიფაქიზე, მახვილი თვალი, კალამი და ალღო...

ახლაც ვგრძნობ საღებავშეუმშრალი გაზეთის სუნს... არ ვეთანხმები აზრს–ერთი დღით ცოცხლობსო გაზეთი. თუ ეს სიმართლეა, რატომ ვიქექებით წარსულში, რად ვაწუხებთ არქივებს?!

ნოსტალგია მეუფლება, რედაქციის მინი ცხოვრება ცოცხლდება.

ცოცხალი წარმოსახვა, რომანტიკა წარსულში მარტო როდია. აწმყოშიც სიძველის ხიბლია. დროის გმირები ცოცხლობენ, ივსება ცხოვრებისეული გამოცდილება.

ძირძველი მემატიანე–ჩემი გაზეთი ცოცხლობს.

ახალ ათასწლეულს 70 წლისა გახდება... ვერ გეტყვით, როგორი ზეიმი იქნება, ამაზე ერთობლივი ფიქრია საჭირო. ალბათ, იტყვიან სათქმელს ისინი, ვინც გვიწინამძღვრა. ვერ ჩამოვთვლი იქნებ გამომრჩეს სიჩქარეში... ისინი ჩვენი ცხოვრების უწყვეტელი წარსულით ჩვენი სულიერი თანამედროვენი არიან...

მთავარი მაინც, ვისთვისაც ვარსებობდით და ვარსებობთ, ხალხია, მკითხველი... გაზეთს ულევი მკითხველი ჰყავდა. ტრაბახად ნუ ჩამითვლიან, დასავლეთში ჩვენი გაზეთი გამორჩეულად ითვლებოდა. ამის უტყუარი მემატიანენი არიან რაულ ჯახია, ნაირა ბუკია, სერაპიონ ცხადაია, გოგი ბუკია, მედეა კობახიძე, აწგანსვენებული ვლადიმერ ქორთუა, ვახტანგ სერგია ამაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა...

წარსულს თუ არ გაიხსენებ, მომავალს ვერ დაინახავ. ხალხს სიმართლე უნდა ვუთხრათ, ვერავის დავსწამებ ცილს, ვინმე გვიშლიდეს სიმართლის წერას, უფალმა დამიფაროს.

ამასწინათ ახლობელმა მითხრა–„წკიპურტებით საუბარი გიყვარსო...“

გმადლობთ შეცნობისთვის.

რობაიაებიც უხვად ვიცი. ისინი ცხოვრებას აცოცხლებენ. მახსოვს, რამდენ კრიტიკულ წერილს ან ფელეტონს დავწერდი უჩემოდ მწვავე ადგილებს ააორთქლებდნენ (რედაქტორებს არ ვასახელებ, ციმბირი არ ამცდება). მახსოვს მწარე ულმობელი დრო, ჯერაც არ გაშიფრული მოგონებანი. ვუმადლი ძლიერ სულს, თორემ მერყევი რომ ვყოფილვიყავი აზვირთებას ვერ გავუძლებდი, აკი ვთქვი თავად ყინვაგამძლეს ძლიერი სუსხიც ვერაფერს დამაკლებდა. იმ ფაიფურის ჭურჭელსა ვგავარ, იის ნაცვლად ძლიერი მუხის ფესვი რომ ჩარგეს... ძლიერი ფესვები კი სათუთ ჭურჭელს ადვილად ამსხვრევს, ფესვი კი რჩება.

...და ასე ღამეთა თენებით, სიმართლის რწმენით და წერით ცხოვრებასთან ჭიდილს გავუძელი. გაზეთის ცხოვრებით ვიცხოვრეთ მეც და თანამოკალმეებმაც. მე სხვა ცხოვრებით არ მიცხოვრია და ამიტომაც მარად ახალგაზრდა დავრჩი.

მოგონებებში ჩაძირულნი აფრაგაშლილი ხომალდებივით ცხოვრების აზვირთებულ ტალღებში მივცურავთ, ვეძებთ ჭეშმარიტებას და თუ ვეძებთ, უსათუოდ ვიპოვეთ. ამ ძიებას სიყვარულთან ვაიგივებთ. რომ არა ერთობის ძალა, სიყვარული, რისხვის ჟამსაც რომ გვდევს თან, საქმეს ძვრა არ ექნება. სიცოცხლისა და საქმის ერთიან სურვილს ყავლი არასდროს გაუვა, გულისტკივილი გავიწყდება...

იგივე შენობა, იგივე ოთახი და დრო, იგივე სიბრძნე „მეც იგივე ვარ მარად და მარად“.

...იყო დრო... ეხ, სტამბავ, სტამბავ... სამმეოთხედ თვლაზე როგორ რახრახებდნენ მანქანები, ნათელი გონებით ბეჭდავდნენ ჩვენს ნაზრევ-ნაფიქრალს. რკინისნერვება, მდუმარე ასოთამწყობები, დამკაბადონებლები დაუღლელად აკეთებდნენ ერთობლივ საქმეს. სტამბის იატაკის მოცახცახე ფიცრებიც უძლებდა სიმძიმეს.

მახსოვს ჩავარდნილი ნომრებიც, გაპარული ლაფსუსები, შეცდომები (ღამენათევებს აბა რა მოგვივიდოდა) დილით კვლავ ერთობლივი შრომით სიტყვების გასწორება ბუზღუნთან ერთად იწყებოდა. ამის ოსტატი ცხონებული ვლადიმერ ქორთუა გახლდათ. რედაქციაში აღამებდა და ათენებდა ეს ბუმბერაზი, მთა კაცი. მახსოვს უთვალავი იუმორი, უთვალავი განცდა, ოინები, ღამისთევები...

ედიშერ წურწუმიას მორიგეობა გვიყვარდა. ოჯახიდან პურმარილი უხვად მოსდიოდა „დაწნულთან“ ერთად. მაშინ გენახათ მოგონებათა ფურცლებს გაამდიდრებდნენ.

ახლაც თვალწინ ცოცხლდება (დღესაც არანაკლებია) სარედაქციო წერილების მზადების პროცესი. ტელეფონების გამუდმებული წკრიალი, ანაბეჭდებთან „ომი“, კორექტორული ციებხელება (ახლა კომპიუტერი მეგობრობს ჩვენთან).

რესპონდენტებთან საუბრები (წარსულში უხვად იყვნენ) და მაინც ყოველი დღე მომდევნოს არ ჰგავს. შემცირდა ტირაჟი, თვეში ორი ნომერი, ახლაც ვიწვით ძიებაში!

ჟამთაცვლამ ცვლილება მარგუნა...

ისევ თვითგანახლებისთვის სწრაფვა..

ახლის ძიება ახალ ათასწლეულში...

...და კვლავ მარათონელივით ჩვენი ხალისი. მგლად ვიქცეოდით ნომრის გამოშვებას ვჩქარობდით... სტამბა და რედაქცია ერთიანი იყო, ამ ერთობის სული და გული რეზო კობესაძე და აწგანსვენებული ბატონი ვახტანგ სერგია გახლდათ.

ვისაც ჩვენს გვერდით უშრომია, ადვილად დამეთანხმება. ალბათ, მათაც ენატრებათ გარდასულ დღეთა მოგონება. ისინი კი მრავლად არიან ჩვენი ჭირისა და ლხინის გულთან მიმტანნი და ჩვენგან წასულნი, ახლა საჭე ნუგზარ სერგიას ხელშია. სიკეთით აღსავსე ახალგაზრდა კაცი. ამ სასიცოცხლო ობიექტიდან კი ჩვენგან ნაადრევად წასულები ნეტავი გაგვიცოცხლა, მოვიჩქარი ამ ყინვაგამძლე, ულამაზესი შენობისკენ. გულმაგარი ვეძებ გზას ჭეშმარიტი სიმართლისკენ. მე სხვა ცხოვრებით არ მიცხოვრია, მე ვარ სიცოცხლისკენ ლტოლვა, ძლიერი ფესვი და ახლის მარადი ნაყოფი!

„მოვდივარ ფიქრთა მესაიდუმლე, მომაქვს სიტყვათა მსუყე ხვიადი.

სულში მინთია გიზგიზა ცეცხლი, ვარ გაზაფხულის ფერი დიადი.“

ლირა ბასილაია,
გაზეთი „სამეგრელო“ 2000 წლის დეკემბერი

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მსოფლიო და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ ნუგზარ წურწუმიას დედის

მთავარისა ჯაჯია-წურწუმიას

გარდაცვალების გამო

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონ ნუგზარ წურწუმიას დედის

მთავრისა ჯაჯია-წურწუმიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ მარი მიქაუტაძეს ბებიის

გულნარა კაცაძე-მიქაუტაძის

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ახალი ხიბულის კლუბის სპეციალისტს ეკა კიტიას ჭირნახული დედის

როზა ზარანდია-კიტიას

გარდაცვალების გამო

„მღერიან, ცეკვავენ და ხუმრობენ...“

ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელმა სააღმზრდელო გაერთიანებამ საზაფხულო არდადეგებისას კიდევ ერთი და მრავალგზის სასიამოვნო ღონისძიებით დაატკბო მაყურებელი, გაახალისა და სასიამოვნო გარემო შექმნა.

„მღერიან, ცეკვავენ და ხუმრობენ“ ასე ერქვა სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომელთა „მინი“ კონცერტს, რომელმაც ნათლად გვაჩვენა, როგორი უნდა იყოს საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი თუ ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც ბავშვთან ურთიერთობს...

ხობის ცენტრალური პარკის ხეივანი საგანგებოდ მოურთავთ, სცენაც მოუწყვიათ და მუსიკის წყალობით სასიამოვნო გარემოც შეუქმნიათ...

ვიდრე თავიანთი შემოქმედებით მოგვხიბლავდნენ, აქ ტრიალებდნენ გაერთიანების ხელმძღვანელები... ქალბატონებს ეკა ხასიას და ნონა შამათავას წვრილმანიც არ გამორჩენიათ, ისიც კი, სასიამოვნო სიურპრიზებით, სიყვარულით როგორ აეცრემლებინათ გაერთიანების „ძველი“ ხელმძღვანელები–ნარგიზა ტუღუში, ნორა იოსავა, მანანა წულეისკირი, ელისო კვიკვინია. თავადაც სასიამოვნოდ ამღერებულიყვნენ და გაერთოთ მაყურებელი.

ხობის №1 და №2, ქვემო ქვალონის, პატარა ფოთის, პირველი ხორგის, გურიფულის, პირველი მაისის, შავღელეს, საჯიჯაოს, ნოჯიხევის №1, ძველი ხიბულის საბავშვო ბაღების (მთავარი სპეციალისტები: ნონა ალანია, ნარგიზა ტუღუში, ნინო საჯაია, თინათინ ხელაია, ასმათი ბერაია, ია იოსავა (მოვალეობის შემსრულებელი), ლელა ქანთარია, ლია მურვანიძე, შორენა თირქია, მაკა ფირცხელავა, ერიდა ჯიშკარიანი), თანამშრომლებმა მართლაც სასიამოვნო საღამო შემოგვთავაზეს.

მათი უბრალოება და სიხალისე მაყურებლებსაც გადაედოთ, ნამდვილმა სიწრფელემ და სიყვარულმა დაისადგურა ირგვლივ.

ქართულმა და მეგრულმა სიმღერებმა, ხუმრობებმა მოიცვა გარემო. იყო ყვავილების ზღვა. მრავალფეროვნება და ამავდროულად ერთსულოვნება...

ეს არ გახლდათ კონკურსი, არამედ ერთმანეთის გახალისების და მოფერების საღამო, რომელიც თითოეულ მაყურებელს და მონაწილეს დიდხანს, ძალიან დიდხანს გაყვება ტკბილ მოგონებად...

გაერთიანების დირექტორის მისალმება იყო მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი „შინ“ და „გარეთ“. როგორ უნდა გულამოზო ცხოვრება თანამშრომელს, აგრძნობინო როგორ გიყვარს და პატივს სცემ მას, მის მოვალეობებს.

სითბო და სიყვარული ჟღერდა ქალბატონ ეკა ხასიას ყველა სიტყვიდან, (მართლაც რა დიდებულია ქართული სიტყვა), მადლობა მას ამ სილამაზისა და დიდებულებისთვის.

საბავშვო ბაღების სერთიფიცირებულ აღმზრდელ მასწავლებლებს „აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ მოდულის“ დამადასტურებელი სერთიფიკატები საპატიო სტუმრებმა გადასცეს...

ხალისიანი წამყვანი ნონა შამათავა ხომ განუმეორებელი გახლდათ.

საღამო, ბოლო აკორდის სლოგანით „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ დამთავრდა.

მზე გადაიწვერა, მოსაღამოვდა, მაგრამ ვერა და ვერ დაჩრდილა ლამაზი და უჩვეულო საღამო.

...ბრავო, ეს საღამო ღირდა თქვენს შრომად, ძვირფასებო...

თურმე რა კარგი ყოფილა ბავშვობის მოგონება–ლამაზი, ლაღი, ისეთივე, როგორებიც თქვენ ბრძანდებოდით. მიყვარხართ...

მაპატიეთ სასიამოვნო ემოციების გამო, ალბათ, ბევრი რამ გამომრჩა...

მერი ლაგვილავა

საინფორმაციო შეხვედრები გალმა საჯიჯაოსა და პატარა ფოთში

ხობის მუნიციპალიტეტის გაღმა საჯიჯაოს და პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა თამუნა სიჭინავამ და შსს ხობის რაიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს, მონაწილეებთან ერთად იმსჯელეს ოჯახში ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინების, ქალებისა და გოგონების მიმართ სხვა საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის გზებზე.

შეხვედრის მიზანია ადრეულ ქორწინების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და ფემიციდის პრევენცია. შეხვედრის ბოლოს დარიგდა საინფორმაციო ბროშურები - „ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით“, რომელიც დამზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს მიერ.

საინფორმაციო ტიპის შეხვედრები მერიის ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა.

მოლოცვა

ლუკა ნარსიას

ხობი ამაყია ნიჭიერი, მიზანმიმართული ახალგაზრდებით. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ლუკა ნარსია, რომელიც წელს თბილისის ვლადიმერ კომაროვის სახელობის საჯარო სკოლის ოქროს მედალოსანი გახდა...

ლუკამ ხობის №2 საჯარო სკოლაში სწავლისას გამოავლინა მათემატიკისადმი დიდი ინტერესი. მან მე-7 კლასის დამთვრების შემდეგ გამოცდები ჩააბარა და კომაროველი გახდა, იმთავითვე მიიქცია პედაგოგთა ყურადღება, ხობში, მშობლებთან ლალი ფოცხორაიას და ზაზა ნარსიას ოჯახში მადლობის ბარათმაც არ დააყოვნა... ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში იგი მრავალგზის იყო მათემატიკური კონკურსების გამარჯვებული.

2023 წელს ლუკას გუნდმა ინტელექტუალურ თამაშში „რა, სად, როდის“ საქართველოს მასშტაბით პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა. ამჟამად ლუკას ცხოვრებაში ახალი ეტაპი დადგა, იგი აბიტურიენტია და უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს აბარებს.

მჯერა, ლუკა მიზანს ამჯერადაც მიაღწევს და სტუდენტი დაგვიბრუნდება.

ვულოცავ ლუკას ახალ-ახალი წარმატებების რწმენით.

გოდერძი ჭანტურია.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შპს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.